საჯარო სამართლის იურიდიული პირი -

ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის

წ ა რ მ ო მ ა დ გ ე ნ ლ ო ბ ი თ ი ს ა ბ ჭ ო

გ ა დ ა წ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა № 07-01/68

ქ. ბათუმი 13 მარტი, 2020 წ.

,,საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტთა სწავლის საფასურის გადახდის წესის დამტკიცების თაობაზე“ ბსუ-ს წარმომადგენლობითი საბჭოს 2015 წლის 29 სექტემბრის N06 გადაწყვეტილებაში დამატების შეტანის თაობაზე

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის მე–18 მუხლის, ბსუ–ს წესდების მე–10 მუხლის, ბსუ-ს სტუდენტთა კარიერული განვითარების, კულტურისა და სპორტის დეპარტამენტის უფროსის, მერაბ დიასამიძის 2020 წლის 03 მარტის MES 7 20 00268686 სამსახურებრივი ბარათის საფუძველზე წარმომადგენლობითმა საბჭომ

გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ა

1. ,,საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტთა სწავლის საფასურის გადახდის წესის დამტკიცების თაობაზე“ ბსუ-ს წარმომადგენლობითი საბჭოს 2015 წლის 29 სექტემბრის N06 გადაწყვეტილებით დამტკიცებულ წესში (გადაწყვეტილების დანართი 1) შევიდეს დამატება, კერძოდ, **მე-7 მუხლს დაემატოს მე-10 პუნქტი შემდეგი რედაქციით:**

,,10. სახელმწიფო სტიპენდიის მიმღებ კანდიდატებს - **უმაღლესი განათლების პირველი საფეხურის საგანმანათლებლო პროგრამების სტუდენტებს**, რომლებსაც სწავლის პერიოდში, შესაბამისი პროგრამით გათვალისწინებული კრედიტების ფარგლებში, ყოველ სასწავლო კურსში (როგორც ძირითად ან/და დამატებით, ისე საკუთარი ინიციატივით დარეგისტრირებულ სასწავლო კურსში) მიღებული აქვთ შეფასება არანაკლებ „ძალიან კარგი“ ან წინა სემესტრის გათვალისწინებით ყოველ სასწავლო კურსში შეფასება ,,ფრიადი“, მათი წერილობითი განცხადების შემთხვევაში, გადაუვადდეთ მიმდინარე სწავლის საფასურის გადახდის ვადა ამავე სემესტრში სახელმწიფო სტიპენდიის მიღებამდე (ამ პირთა სწავლის საფასურის დავალიანებასთან დაკავშირებით სამართლებრივი აქტი გამოიცეს არაუგვიანეს შესაბამისი სემესტრის დასრულებამდე).“

2. წინამდებარე გადაწყვეტილება და შეტანილი დამატების გათვალისწინებით კონსოლიდირებული ,,სწავლის საფასურის გადახდის წესი“ გამოქვეყნდეს ბსუ-ს ვებგვერდზე (ველებში ,,საუნივერსიტეტო ნორმატიული აქტები“ და ,,სტუდენტის გზამკვლევი“).

3. გადაწყვეტილება სახელმძღვანელოდ და აღსასრულებლად დაეგზავნოს ბსუ-ს მართვის ორგანოებს, ფაკულტეტებს, სტუდენტთა კარიერული განვითარების, კულტურის და სპორტის დეპარტამენტს, საინფორმაციო ტექნოლოგიების სამსახურს, საფინანსო-ეკონომიკურ დეპარტამენტს, იურიდიულ დეპარტამენტს და სასწავლო პროცესის დეპარტამენტს.

4. გადაწყვეტილება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

წარმომადგენლობითი საბჭოს სპიკერი,

პროფესორი **დავით ბარათაშვილი**